

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ

ეს კანონი აწესრიგებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშებისა და ჰიბრიდების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის დროს წარმოქმნილ ურთიერთობებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება ამ კანონის დანართში ჩამოთვლილ ბოტანიკურ გვარებსა და სახეობებს მიკუთვნებული ადგილობრივი და უცხო წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანისათვის განკუთვნილი სათესი და სარგავი მასალის ყველა სახეზე.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მცენარის ჯიში – მცენარეთა ჯგუფი, რომელსაც სამართლებრივი დაცვით-უნარიანობის მიუხედავად გააჩნია მოცემული გენოტიპის (გენოტიპების) კომბინაციებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ცნობილი კლასების უდაბლესი ერთეულის ფარგლებში, იმავე ბოტანიკური ტაქსონის მცენარეთა სხვა ჯგუფისაგან ერთი ნიშან-თვისებით მაინც განსხვავდება; მცენარის ჯიში არის მთელი, განუყოფელი ერთეული მისი სახეშეუცვლელად მიღება-გამრავლების მხრივ;

ბ) პირველი თაობის ჰიბრიდი – გენეტიკურად განსხვავებული ფორმების შეჯვარების შედეგად პირველ წელს მიღებული თაობა;

გ) განსხვავებულობა – მცენარის ჯიშის ძირითადი ნიშან-თვისებების ცნობილი ჯიშებისაგან განსხვავება განაცხადის შეტანის დღისთვის; მცენარის ჯიში ცნობილად ითვლება, თუ მის შესახებ მონაცემები შეტანილია ოფიციალურ კატალოგში და საცნობარო ფონდებში, აღწერილი და გამოქვეყნებულია სპეციალურ ლიტერატურაში ან გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სელექციონერის უფლების მოპოვების მიზნით მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის ან გასავრცელებლად დაშვების სხვა ქვეყანაში წარდგენილი განაცხადი მცენარის ჯიშს ცნობილად აღიარებს, თუ იგი იქნება სამართლებრივად დაცული ან გასავრცელებლად დაშვებული;

დ) ერთგვაროვნება – მცენარის ჯიშის ძირითადი ნიშან-თვისებების ერთგვაროვნება, გამრავლების პროცესისათვის დამახასიათებელი ცვალებადობის გათვალისწინებით;

ე) სტაბილურობა – მცენარის ჯიშის თვისება, მრავალჯერადი გამრავლების ან გამრავლების განსაკუთრებული ციკლის მიუხედავად, უცვლელად შეინარჩუნოს ჯიშის ძირითადი ნიშან-თვისებები;

ვ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების უფლებას;

ზ) დიპლომი – სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდება, რომ მცენარის ჯიში შეტანილია საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების სახელმწიფო რეესტრში;

თ) გასავრცელებლად დაშვება – მცენარის ჯიშის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ნებართვა, რომელშიც მითითებულია მცენარის ჯიშის გავრცელების ხელსაყრელი ზონები;

ი) საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების სახელმწიფო რეესტრი (შემდგომში – სახელმწიფო რეესტრი) – საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების ჩამონათვალი;

კ) მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობა – სახელმწიფო რეესტრში შეტანილი მცენარის ჯიშის მონაცემებთან შედარებით, ისეთი მცენარის ჯიშის სამეურნეოდ სასარგებლო ნიშან-თვისებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს მისგან წარმოებული პროდუქციის ხარისხს, მიღებული მოსავლის გამოყენებას და მნიშვნელობას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ერთი ან რამდენიმე ზონისათვის; ამ მონაცემების შეფასება წარმოებს მცენარის ჯიშის ნიშან-თვისებათა ურთიერთშეთანწყობა-კომპენსირების პრინციპით;

ლ) მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვითუნარიანობა – მცენარის ჯიში, რომელიც აკმაყოფილებს მისი სამართლებრივი დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

მ) სელექციონერი – პირი, რომელმაც შექმნა, გამოავლინა ან გამოიყვანა მცენარის ჯიში;

ნ) ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა – მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებაზე საგანაცხადო მასალის სისრულისა და გაფორმების, აგრეთვე მასში აღწერილი ობიექტის ერთიანობის შემოწმება;

ო) თესლი – სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლი, აგრეთვე სათესი მასალის ყველა ბოტანიკური სახე: ხეხილის, კენკროვნების, დეკორატიული ყვავილებისა და სამკურნალო მცენარეების ნაყოფები, რთული ნაყოფის ნაწილები, თანანაყოფები;

პ) სარგავი მასალა – სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩითილები, ხეხილის, კენკროვნების, დეკორატიული ყვავილების, სამკურნალო მცენარეების, ვაზის, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ვეგეტატიურად გასამრავლებელი მასალა;

ჟ) მცენარის ჯიშის შემნარჩუნებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შეტანილია სახელმწიფო რეესტრში და პასუხისმგებელია მცენარის ჯიშის იმ ნიშან-თვისებათა შენარჩუნებაზე, რომლის საფუძველზედაც მცენარის ჯიში შეტანილი იქნა სახელმწიფო რეესტრში;

რ) სელექციონერის მიერ მიღებული თესლი (ორიგინალური თესლი) – წინასაბაზისო თესლის წინა თაობის თესლი, რომელიც მიღებულია მცენარის ჯიშის შემნარჩუნებლის ან მისი პასუხისმგებლობით სხვა პირის მიერ;

ს) წინასაბაზისო თესლი (სუპერ-ელიტა) – სელექციონერის თესლის გამრავლებით მცენარის ჯიშის შემნარჩუნებლის ან მისი პასუხისმგებლობით სხვა პირის მიერ მიღებული საბაზისო თესლის წინა თაობის თესლი;

ტ) საბაზისო თესლი (ელიტა) – წინასაბაზისო თესლის გამრავლებით მცენარის ჯიშის შემნარჩუნებლის ან მისი პასუხისმგებლობით სხვა პირის მიერ მიღებული თესლი;

უ) პირველი რეპროდუქციის სერტიფიცირებული თესლი – საბაზისო თესლის გამრავლებით მიღებული თესლი;

ფ) მეორე რეპროდუქციის სერტიფიცირებული თესლი – პირველი რეპროდუქციის სერტიფიცირებული თესლის გამრავლებით მიღებული სათესლე ან სასურსათო დანიშნულების თესლი;

ქ) ხარისხიანი თესლი (სარგავი მასალა) – სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლი ან მრავალწლიანი კულტურების ნერგი, რომელიც დასტურდება ხარისხის სერტიფიკატით;

ლ) თესლის ხარისხი – თესლის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები (სიწმინდე, გალივება, 1000 მარცვლის მასა, ტენიანობა, სიცოცხლისუნარიანობა), რომლებიც დასტურდება ხარისხის სერტიფიკატით;

მ) თესლის სიცოცხლისუნარიანობა – თესლის (სარგავი მასალის) მდგომარეობა მასში მავნებელ-დაავადებათა არსებობის გათვალისწინებით;

ნ) ნათესების მინდვრად ინსპექტირება (აპრობაცია) – სათესლედ განკუთვნილი ნათესების ჯიშობრივი იდენტიფიკაცია და ჯიშობრივი სიწმინდის დადგენა, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით;

ი) ნარგაობის ინსპექტირება (აპრობაცია) – მრავალწლიანი კულტურების – ხეხილის, ვენახის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ნარგაობის ჯიშობრივი იდენტიფიკაცია და ჯიშობრივი სიწმინდის დადგენა, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით;

კ) ხარისხის სერტიფიკატი – თესლის (სარგავი მასალის) ხარისხის დამადასტურებელი ოფიციალური მოწმობა;

დ) ანალიზის შედეგი – ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება თესლის (სარგავი მასალის) ხარისხის განსაზღვრისათვის ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის შედეგი;

ე) თესლის (სარგავი მასალის) პარტია – ერთი და იმავე ხარისხის ნებისმიერი რაოდენობის თესლი (სარგავი მასალა), რომელიც დასტურდება ხარისხის სერტიფიკატით;

ვ) სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა – თესლის მარკეტინგისათვის დაშვება თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად;

ზ) განსაკუთრებული უფლების მქონე პირი – პირი, რომელსაც უფლება აქვს შეხედულებისამებრ გამოიყენოს მცენარის ჯიში, რაზედაც მას აქვს განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელი, სამართლებრივი დაცვის მოწმობა; ამ მოწმობით განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია სამართლებრივად დაცული მცენარის ჯიში შეიტანოს სამოქალაქო ბრუნვაში და მიიღოს მისგან შემოსავალი, აგრეთვე გაყიდოს ან გაასხვისოს მოწმობა.

მუხლი 4. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის სახელმწიფო სისტემა

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის სახელმწიფო სისტემა შედგება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შემდეგი დაწესებულებებისაგან:

- ა) სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექცია;
- ბ) თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია;
- გ) ფიტოსანიტარიული კარანტინის ინსპექცია;
- დ) საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი (შემდგომში – საქჯიშცენტრი);
- ე) მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია.

მუხლი 5. „საქჯიშცენტრის“ ფუნქციები და მოვალეობანი

1. „საქჯიშცენტრი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივად უზრუნველყოფს მცენარის ჯიშზე სელექციონერის უფლებებს.

2. „საქჯიშცენტრი“ იღებს გადაწყვეტილებას მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვაზე და გასცემს განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელ მოწმობას.

3. "საქჯიშცენტრის" ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

4. "საქჯიშცენტრს" ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

5. "საქჯიშცენტრის" ფინანსური წყაროებია შემდეგი მოქმედებებისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურებიდან მიღებული შემოსავალი:

ა) მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვისა და გასავრცელებლად დაშვების განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის;

ბ) მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის ჩატარებისათვის;

გ) მცენარის ჯიშის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის;

დ) მცენარის ჯიშის დამცავი ღოკუმენტების (მოწმობა, დიპლომი) გაცემისათვის;

ე) მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვისა და გასავრცელებლად დაშვების შენარჩუნებისათვის;

ვ) "საქჯიშცენტრის" ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების ჩატარებისათვის;

ზ) საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებისა და კვლევითი საქმიანობისათვის.

6. "საქჯიშცენტრის" საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ირიცხება მის ანგარიშზე, რომელსაც თვითონ განკარგავს. "საქჯიშცენტრის" მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხა გადაირიცხება მომავალი წლის ანგარიშზე.

7. დასაშვებია "საქჯიშცენტრისათვის" სახსრების, მათ შორის, გრანტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

8. "საქჯიშცენტრი" ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის ამზადებს მომდევნო წლის ბიუჯეტს, რომელშიც აისახება "საქჯიშცენტრის" ყველა ხარჯი და მისი დაფარვის წყარო.

9. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების დიპლომს გაცემს "საქჯიშცენტრი" მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

10. "საქჯიშცენტრის" ბიუჯეტს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

მუხლი 6. მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიის ფუნქციები და მოვალეობანი

1. მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია არის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანებით, საზოგადოებრივ საწყისებზე.

2. მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია:

ა) იღებს რეკომენდაციებს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შესახებ და წარუდგენს მინისტრს;

ბ) "საქჯიშცენტრის" წარდგინებით განიხილავს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებისას საგანაცხადო მასალას.

3. მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია იქმნება 20 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ნახევარი სახელმწიფო მოხელეები არიან. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები ფარული კენჭისყრით, კომისიის იმ წევრთაგან, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.

მუხლი 7. საქართველოში შექმნილი, გამოყვანილი ან გამოვლენილი მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვასა და გასავრცელებლად დაშვებაზე განაცხადის წარდგენა სხვა ქვეყანაში

1. საქართველოში შექმნილი, გამოყვანილი ან გამოვლენილი მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვაზე ან/და გასაავრცელებლად დაშვებაზე სხვა ქვეყნის შესაბამის უწყებაში განაცხადის წარდგენამდე ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია წერილობით აცნობოს ამის შესახებ "საქჯიშცენტრს".

2. სხვა ქვეყანაში მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის ან/და გასაავრცელებლად დაშვების შემთხვევაში ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია "საქჯიშცენტრს" მიაწოდოს შესაბამისი დამცავი დოკუმენტების ასლები (ქართული თარგმანის ჩათვლით).

თავი II

მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვება

მუხლი 8. მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ტერიტორიაზე გასაავრცელებლად დაშვებას ექვემდებარება სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის მიერ რეკომენდებული მცენარეთა ჯიშების შემდეგი კატეგორიები:

- ა) ადგილობრივი და უცხო წარმოშობის მცენარეთა ჯიშები და ჰიბრიდები;
- ბ) "სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაცული ჯიშები და ჰიბრიდები.

მუხლი 9. მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვების განაცხადის წარდგენა

1. მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვების განაცხადს "საქჯიშცენტრში" წარადგენს სელექციონერი, მისი უფლებამონაცვლე ან წარმომადგენელი.

2. განაცხადი მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვებაზე უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადებას მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვებაზე, რომელშიც მითითებული იქნება განმცხადებლის, აგრეთვე სელექციონერის სახელი, გვარი და იურიდიული მისამართი;

ბ) მცენარის ჯიშის აღწერილობას (მცენარის ჯიშის ძირითადი მორფო-ბიოლოგიური, ბოტანიკური ნიშან-თვისებები და სამეურნეო დახასიათება).

3. განაცხადს "საქჯიშცენტრში" წარდგენის დღიდან 1 თვის ვადაში უნდა დაერთოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

4. განცხადება მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვებაზე წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სხვა საგანაცხადო მასალა – ნებისმიერ უცხო ენაზე. საგანაცხადო მასალის უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა 2 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი.

5. განაცხადის მიმართ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. განაცხადის წარდგენა "საქჯიშცენტრში" ხდება უშუალოდ შეტანით ან სხვა საშუალებით.

მუხლი 10. მოთხოვნები მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვების განაცხადის მიმართ

1. მცენარის ჯიშის გასაავრცელებლად დაშვების განაცხადი მიიღება, თუ:

- ა) მცენარის ჯიშის დასახელება შეთანხმებულია "საქჯიშცენტრთან";
- ბ) მცენარის ჯიშში განსხვავდება სხვა ცნობილი ჯიშებისაგან;
- გ) მცენარის ჯიშში შედგენილობით ერთგვაროვანია;
- დ) მცენარის ჯიშში თაობაში სტაბილურია;
- ე) მცენარის ჯიშის ის სახეობა, რომელსაც განეკუთვნება მცენარის ჯიშში, შეტანილია ამ კანონის დანართში.

2. მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობა განისაზღვრება სახელმწიფო გამოცდის შედეგების საფუძველზე, თაობაში შენარჩუნებული სამეურნეოდ სასარგებლო ნიშან-თვისებებით, საკონტროლო ჯიშთან შედარებით.

მუხლი 11. მცენარის ჯიშის გამოცდა და გასავრცელებლად დაშვება

1. მცენარის ჯიშის გამოცდა მის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ტარდება სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის მიერ და წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. მცენარის ჯიშის გამოცდა მის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ტარდება ორი ვეგეტაციის განმავლობაში, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

3. მცენარის ჯიშის სახელმწიფო გამოცდა მის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე ტარდება საქართველოს შესაბამის ნიადაგურ-კლიმატურ ზონებში არსებულ სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის სადგურებში ან სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციასთან შეთანხმებით, საამისოდ შერჩეულ ადგილებში.

4. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების რეკომენდაცია მიიღება მის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის 2 წლის მონაცემების საფუძველზე, მესამე წელს სახელმწიფო გამოცდის გაგრძელების აუცილებლობის პირობით.

5. მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდისათვის განმცხადებელი ვალდებულია სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციას უსასყიდლოდ გადასცეს საჭირო რაოდენობის თესლი (ნერგი) მითითებულ მისამართზე და განსაზღვრულ ვადებში.

6. თუ სახელმწიფო გამოცდის შედეგების მიხედვით, მცენარის ჯიში სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობის მაჩვენებლებით აღემატება ადგილობრივად გავრცელებულ მცენარის ჯიშს, მაშინ ასეთი ჯიშის საგანაცხადო მასალა გადაეცემა "საქჯიშცენტრს", რომელიც მას გადასცემს მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას რეკომენდაციის მისაღებად.

7. საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დასაშვები მცენარეთა ჯიშების მონაცემები ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში.

8. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მცენარეთა ჯიშების მონაცემების ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ამ კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ შეიტანოს გასავრცელებლად დასაშვები მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული პრეტენზია.

9. "საქჯიშცენტრი" დაინტერესებული პირის მიერ ამ ვადაში წარდგენილი პრეტენზიის მასალას უგზავნის განმცხადებელს და სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციას, რომლებსაც უფლება აქვთ 2 თვის ვადაში წარუდგინონ "საქჯიშცენტრს" წერილობითი პასუხი.

10. თუ განმცხადებელმა სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციასთან შეთანხმებით ამ ვადაში არ წარადგინა "საქჯიშცენტრში" დასაბუთებული პასუხი, ეს უკანასკნელი 2 თვის ვადაში განიხილავს პრეტენზიას და წარუდგენს მას მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას, რომელიც იღებს რეკომენდაციას მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების თაობაზე.

11. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება ფორმდება სახელმწიფო რეესტრში შეტანით, ხოლო განცხადებაში მითითებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე გაიცემა მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების დიპლომი.

12. განმცხადებელს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს მცენარის ვეგეტაციის პერიოდში, საკონტროლო ნაკვეთში აწარმოოს დაკვირვება განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო

სარგებლიანობაზე, მათ მიერ მოწოდებული გასავრცელებლად დასაშვები მცენარის ჯიშის სახელმწიფო გამოცდის მიმდინარეობაზე.

13. სახელმწიფო რეესტრის საფუძველზე "საქჯიშცენტრი" ყოველწლიურად გამოსცემს "საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების ჩამონათვალს", რომელიც არის ოფიციალური გამოცემა და შეიცავს მცენარეთა თითოეული ჯიშის მორფო-ბიოლოგიურ, ბოტანიკურ ნიშან-თვისებებსა და სამეურნეო დახასიათებას.

14. მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის შედეგების შესახებ მონაცემები გადაეცემა განმცხადებელს, მის უფლებამონაცვლეს ან წარმომადგენელს.

15. მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის შედეგების შესახებ მონაცემები გადაეცემა მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას, მეთესლეობის ეროვნულ საბჭოს და განმცხადებლის თანხმობით ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში.

მუხლი 12. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შეწყვეტა

1. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს, თუ:

ა) მცენარის ჯიშს არ შეუნარჩუნდა განსხვავებულობა, ერთგვაროვნება და სტაბილურობა;

ბ) მცენარის ჯიშის შემნარჩუნებელმა სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე განმეორებითი სახელმწიფო გამოცდისათვის, რომელიც ტარდება 8-9 წელიწადში ერთხელ, არ წარადგინა თესლი (ნერგი);

გ) მცენარის ჯიშის დასახლება გაუქმდა, ხოლო ახალი ჯერ არ არის წარმოდგენილი;

დ) გადახდილი არ არის გასავრცელებლად დაშვების საფასური;

ე) ამას ითხოვს მცენარის ჯიშის შემნარჩუნებელი;

ვ) მცენარის ჯიშის შემნარჩუნებელი უარს აცხადებს ჯიშის შენარჩუნებაზე;

ზ) მცენარის ჯიში საზიანოა ადამიანისათვის ან სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიაზე მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შეწყვეტის შესახებ მონაცემები ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში. დაინტერესებულ პირს შეუძლია ოფიციალურ გამოცემაში ასეთი მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ "საქჯიშცენტრში" შეიტანოს დასაბუთებული პრეტენზია, განსაზღვრული საფასურის გადახდის პირობით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შეწყვეტა აღინიშნება სახელმწიფო რეესტრში სპეციალური ჩანაწერით.

მუხლი 13. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, გადაწყვეტილების მიღება, გამოქვეყნება

1. "საქჯიშცენტრი" პასუხს აგებს:

ა) მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის განაცხადის მიღებაზე, განხილვაზე, გადაწყვეტილების მიღებასა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემაზე;

ბ) მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადის მიღებაზე და შესაბამისი დოკუმენტის გაცემაზე.

2. მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვასა და გასავრცელებლად დაშვებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე და შესაბამისი დოკუმენტების გაცემამდე ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში "საქჯიშცენტრი" ასეთი მცენარეთა ჯიშების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ოფიციალურ გამოცემაში და გაცნობის მიზნით აწყობს საგანაცხადო მასალის გამოფენას.

3. ”საქვიშცენტრი“ ყოველწლიურად გამოსცემს „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების ჩამონათვალს.“

4. ”საქვიშცენტრი“ განმცხადებელთან შეთანხმებით სახელმწიფო გამოცდის შედეგებს აქვეყნებს ”საქვიშცენტრის“ ბიულეტენში.

5. მეთესლეობის დარგის მართვის ოპტიმიზაციისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრის ბრძანებით იქმნება მეთესლეობის ეროვნული საბჭო, როგორც სათათბირო ორგანო.

6. მეთესლეობის ეროვნული საბჭოს სტატუსს განსაზღვრავს, შემადგენლობასა და რეგლამენტს ამტკიცებს მინისტრი.

7. მეთესლეობის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში თანაბრად შედიან სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

8. სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექცია ვალდებულია ჰქონდეს საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული ყველა მცენარის ჯიშის ეტალონური კოლექცია.

მუხლი 14. ხელახალი ექსპერტიზის პროცედურა

1. ”საქვიშცენტრის“ ან მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიის რეკომენდაცია ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებისათვის წარედგინება სამინისტროს.

2. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მინისტრის ბრძანებით, გადაწყვეტილების მისაღებად, სამი წევრის შემადგენლობით იქმნება ექსპერტთა საბჭო.

3. ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს მინისტრი.

4. ექსპერტთა საბჭო დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი მუშაობის რეგლამენტს და პროცედურას.

5. ექსპერტთა საბჭოს სამი წევრიდან ერთი უნდა იყოს სამართლის სპეციალისტი, ხოლო ორი – სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

6. ექსპერტთა საბჭოს წევრი არ უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე.

7. ექსპერტთა საბჭოში შეტანილი პრეტენზია განიხილება განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ.

8. ექსპერტთა საბჭოს გამოაქვს წერილობითი გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, პრეტენზიას განიხილავს სასამართლო.

9. ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებები ინახება დადგენილი წესით.

თავი III

თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის სამართლებრივი დაცვა

მუხლი 15. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრა

1. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს განსაზღვრავს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია (შემდგომში – ხარისხის ინსპექცია).

2. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრისათვის დადგენილი უნდა იქნეს თესლის (ნერგის) ხარისხობრივი მაჩვენებლები თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობით.

3. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრისათვის საჭიროა:

ა) ნათესების (ნარგაობის) მინდვრად ინსპექტირების (აპრობაციის) სერტიფიკატი;

ბ) ხარისხის განსაზღვრისათვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

4. თესლზე ან სარგავ მასალაზე, რომელიც აკმაყოფილებს თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნებს, გაიცემა ხარისხის სერტიფიკატი.

5. ხარისხის სერტიფიკატის ამოქმედების ვადა აითვლება ანალიზის დამთავრების დღიდან; ხარისხის სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

6. თესლზე ან სარგავ მასალაზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნებს, გაიცემა ოფიციალური საბუთი – ანალიზის შედეგი.

7. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის შესახებ მონაცემები გადაეცემა განმცხადებელს ან წარმომადგენელს. ამ მონაცემების სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია.

თავი IV

თესლისა და სარგავი მასალის წარმოება და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა

მუხლი 16. თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა

1. თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა დასაშვებია, თუ:
 - ა) მცენარის ჯიში, რომელსაც ეკუთვნის თესლი ან სარგავი მასალა, შეტანილია სახელმწიფო რეესტრში;
 - ბ) თესლი და სარგავი მასალა დასტურდება ხარისხის სერტიფიკატით და მცენარის ჯიშზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის ნებართვით.

მუხლი 17. თესლისა და სარგავი მასალის მწარმოებლის მოვალეობანი

1. თესლისა და სარგავი მასალის მწარმოებელი (შემდგომში – მწარმოებელი) ვალდებულია ჰქონდეს:
 - ა) თესლისა და სარგავი მასალის წარმოების მოცულობის შესახებ საბუთები;
 - ბ) სამოქალაქო ბრუნვაში შესატანად განკუთვნილი თესლის მინდვრად ინსპექტირების (აპრობაციის) და თესლის ხარისხის შემოწმების საბუთები.
2. მწარმოებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საბუთები შეინახოს 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 18. სათესლე და მრავალწლიანი კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის განკუთვნილი ნათესებისა და ნარგაობის ფართობების მინდვრად ინსპექტირება (აპრობაცია)

სათესლე და მრავალწლიანი კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის განკუთვნილი ნათესებისა და ნარგაობის ფართობების მინდვრად ინსპექტირების (აპრობაციის) ჩატარების წესს ადგენს სამინისტრო.

მუხლი 19. თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის პირობები

1. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი უნდა შეესაბამებოდეს საბაზისო თესლს (ელიტურ თესლს), პირველი თაობის სერტიფიცირებულ თესლს ან მეორე თაობის სერტიფიცირებულ თესლს, ხოლო სარგავი მასალა – პირველი ან მეორე ხარისხის მასალას.
2. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება:
 - ა) ”საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების ჩამონათვალით“, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ბიულეტენში და რომელშიც მითითებულია მცენარის ჯიში, რომელსაც განეკუთვნება თესლი ან სარგავი მასალა;
 - ბ) მცენარის ჯიშის გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის ნებართვით (თუ მწარმოებელი არ არის მცენარის ჯიშის მფლობელი);
 - გ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით (იმპორტ-ექსპორტის შემთხვევაში);

- დ) ხარისხის სერტიფიკატით (მისი მოქმედების ვადის გასვლამდე);
- ე) საიმპორტო და საექსპორტო დანიშნულების თესლისა და სარგავი მასალის ტარით ტრანსპორტირებისას – ეტიკეტით, ხოლო ტარის გარეშე ტრანსპორტირებისას – თანმხლები საბუთებით.

მუხლი 20. თესლისა და სარგავი მასალის ტარა და ეტიკეტი

1. თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტზე აღნიშნული მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის სერტიფიკატში მითითებულ მონაცემებს.

2. ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატებით დამუშავებული თესლისა და სარგავი მასალის ტარაზე უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერა. ტარას უნდა ახლდეს ინსტრუქცია იმ პრეპარატის დახასიათებითა და მასთან მოპყრობის წესების მითითებით, რომლითაც დამუშავებულია თესლი და სარგავი მასალა.

3. თესლის შესაწამლად გამოყენებული ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატები შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად დაშვებული პრეპარატების შესაბამის ნუსხაში და დამოწმდეს ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილ თესლსა და სარგავ მასალაზე

1. თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანასთან დაკავშირებულ დავას განიხილავს სასამართლო.

2. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლისა და სარგავი მასალის თანმხლები საბუთების გაყალბება ან მათ შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 22. თესლისა და სარგავი მასალის ექსპორტი

ექსპორტისათვის განკუთვნილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება საქართველოში გაცემული:

- ა) ხარისხის სერტიფიკატით;
- ბ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით.

მუხლი 23. თესლისა და სარგავი მასალის იმპორტი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის იმპორტი, რომლებიც არ არის შეტანილი სახელმწიფო რეესტრში, დასაშვებია მინისტრის ბრძანებით, განსაკუთრებული მდგომარეობის დროს.

2. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანისათვის განკუთვნილი იმპორტირებული თესლი და სარგავი მასალა დასტურდება წარმომშობ ქვეყანასა და საქართველოში გაცემული:

- ა) ხარისხის სერტიფიკატით;
- ბ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით.

3. სამეცნიერო-სელექციური მიზნებისათვის და გამოფენაზე ექსპონირებისათვის განკუთვნილი თესლისა და სარგავი მასალის საქართველოში შემოტანა დასაშვებია მხოლოდ სხვა ქვეყნის შესაბამისი ორგანიზაციის მოთხოვნით, თუ ამის თაობაზე სამინისტრომ წინასწარ მიიღო წერილობითი შეტყობინება.

4. სამეცნიერო-სელექციური მიზნებისათვის და გამოფენაზე ექსპონირებისათვის განკუთვნილი თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ითვლება ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევად და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 24. თესლისა და სარგავი მასალის რეექსპორტი და ტრანზიტი

1. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი, რეექსპორტისათვის განკუთვნილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება:

- ა) წარმომშობ ქვეყანასა და საქართველოში გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით;

ბ) წარმომშობ ქვეყანაში გაცემული ხარისხის სერტიფიკატით;
გ) იმპორტზე ნებართვით, თუ ამ ნებართვას ითხოვს თესლისა და სარგავი მასალის მიმღები ქვეყანა.

2. თესლისა და სარგავი მასალის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. რეექსპორტისა და ტრანზიტისათვის განკუთვნილი თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ითვლება ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევად და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 25. საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსები

საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნებისა და დაცვის ორგანიზება ევალება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გენოფონდის დაცვისა და გამოყენების საკოორდინაციო ცენტრს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციას.

მუხლი 26. პაუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის დარღვევისათვის პაუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V

დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

მუხლი 27. გარდამავალი დებულებანი

1. დაევალოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ამ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

2. დაევალოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამტკიცოს დებულება ამ კანონით გათვალისწინებული საფასურის გადახდის წესის შესახებ.

მუხლი 28. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 25 ივნისი.

N 2195 - III

"სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ"

საქართველოს კანონის

დ ა ნ ა რ თ ი

ბოტანიკური გვარებისა და სახეობების ჩამონათვალი, რომელთაც მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშები ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას და გასავრცელებლად დაშვებას

I. ერთწლიანი კულტურები

№ რიგზე	კულტურა	გვარი	სახეობა
1	2	3	4
1	რბილი ხორბალი	Triticum	T. aestivum
2	მაგარიხორბალი	Triticum	T. durum
3	დიკა ხორბალი	Triticum	T. carthlicum
4	ტრიტიკალე	Triticale	T. hecsploid
5	ქერი	Hordeum	H. sativum
6	ჭვავი	Secale	S. cereale
7	შვრია	Avena	A. sativa
8	სიმინდი	Zea	Z. mays
9	ფეტვი	Panicum	P. miliaceum
10	ლომი	Setaria	S. italica
11	ბარდა	Pisum	P. sativum
12	ოსპი	Lens	L. esculenta
13	მუხუდო	Cicer	C. arientinum
14	ცულისპირა	Lathrus	L. sativum
15	ცერცველა	Vicia	V. sativa
16	ცერცვი	Vicia	V. faba
17	ლობიო	Phaseolus	Ph. vulgaris
18	სოია	Clicine	Cl. hypsida
19	ხანჭკოლა	Lupinus	L. albus
20	მზესუმზირა	Helianthus	H. annuus
21	არაქისი	Arachis	A. hypogaea
22	რაფსი	Brassica	Br. napus
23	ვარდისფერი გერანი	Pelargonium	P. roseum
24	ევგენოლური რეჰანი	Oscimum	O. gratissimum
25	ქინძი	Coriandrum	C. sativum
26	თამბაქო	Nicotiana	N. tabacum
27	სელი	Linum	L. usitatissimum
28	კარტოფილი	Solanum	S. tuberosum
29	ჭარხალი	Beta	B. vulgaris
30	სტაფილო	Daucus	D. carota
31	თეთრთავიანი კომბოსტო	Brassica	Br. capitata
32	ყვავილოვანი კომბოსტო	Brassica	Br. caulifora
33	პომიდორი	Lycopersicum	L. esculentum
34	კიტრი	Cucumis	C. sativus
35	ხახვი	Allium	A. cepa
36	ნიორი	Allium	A. sativus
37	პრასა	Allium	A. porrum
38	თაღამურა	Brassica	Br. napus
39	ტურნეფსი	Brassica	Br. rapa
40	ბოლოკი	Raphanus	R. sativus
41	წიწაკა	Capsicum	C. annum
42	საზამთრო	Citrullus	C. vulgaris
43	გოგრა	Cucurbita	C. maxima
44	ყაბაყი	Cucurbita	C. pepo
45	სალათა	Lacfuca	L. sativa

46	ისპანახი	Spinacia	S. oleraceae
47	კამა	Anethum	A. graveolens
48	ოხრახუში	Petroselinum	P. hortense
49	ნიახური	Apium	A. graveolens
50	პასტერნაკი	Pastinaca	P. sativa
51	ნესვი	Melo	M. microcarpus
52	სამყურა	Trifolium	Tr. pratense
53	იონჯა	Medicago	M. sativa
54	კურდღლის ფრჩხილა	Lotus	L. coniculatus
55	ძიძო თეთრი	Melilutus	M. abbis Desr.
56	ესპარცეტი	Onobrichis	On. viciaefolia
57	მდელოს ტიმოთელა	Phllum	P. pratense
58	თეთრი ნამიკრეფია	Agrostis	A. alba
59	თივაქასრა	Poa	P. pratensis
60	სათითურა	Dactylis	D. glomerata
61	მდელოს წივანა	Festuca	F. pramensis
62	კონინდარი	Lolium	L. multiflorum
63	კაბუეტი	Agropyrum	Ag. sibiricum
64	მდელოს მელაკუდა	Alopecurus	Al. pratensis
65	უფხო შვრიელა	Bromus	Br. inermis
66	სუდანურა	Sorghum	S. sudanense
67	აფრიკული ფეტვი	Pennisetum	P. typoideum

II. მრავალწლიანი კულტურები

N რიგზე	კულტურა	გვარი	სახეობა
1	ვაშლი	Malus	M. domestica
2	მსხალი	Pirus	P. domestica, P. caucasica
3	კომში	Cydonia	C. oblonga
4	ატამი	Persica	P. vulgaris
5	ბალი	Cerasus	C. avium
6	ალუბალი	Cerasus	C. vulgaris
7	ქლიავი	Prunus	P. domestica P. cerasifera, P. divaricata
8	ტყემალი	Prunus	P. vachushti Bregadze
9	ალუჩა	Prunus	A. communis
10	გარგარი	Armeniaca	I. regia
11	კაკალი	Iuglans	C. avellana,
12	თხილი	Corylis	C. pontica
13	ნუში		A. communis
14	მარწყვი	Amygdalus	F. vesca
15	სუბტროპიკული ხურმა	Fragaria	D. kaki
	ლელვი	Diospyros	F. carica

16	ბროწეული	Fucus	P. granatum
17	ფეიხოა	Punica	F. sellowiana
18	თუთა	Feijoa	M. alba
19	თუთის აბრეშუმს ვეკია	Morus	R. mori
20	ვაზი	Rombyx	V. vinifera
21	ჩაი	Vitis	T. sinensis,
22		Thea	T. assamica
	მანდარინი		C. reticulata
23	ფორთოხალი	Citrus	C. sinensis
24	გრეიფრუტი	Citrus	C. paradisi
25	ლიმონი	Citrus	C. limon
26		Citrus	

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N29(36), 1999 წელი, მუხ. 157) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მცენარის ჯიში – მცენარეთა ჯგუფი, ცნობილი ბოტანიკური ტაქსონის უდაბლესი საფეხურის ფარგლებში, რომელიც, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა სრულად სელექციონერის უფლების მინიჭების პირობებს, შესაძლებელია განისაზღვროს მოცემული გენოტიპით ან გენოტიპთა კომბინაციით განპირობებულ მახასიათებელთა გამომჟღავნებით, განსხვავდება სხვა მცენარეთა ჯგუფებისაგან მითითებული განპირობებული მახასიათებლებიდან სულ მცირე ერთის გამომჟღავნებით და შეიძლება განხილულ იქნეს მთლიანად მისი უცვლელად კვლავწარმოებისათვის გამოდგომის თვალსაზრისით;“;

ბ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სელექციონერი – პირი, რომელმაც გამოავლინა და გააუმჯობესა, ან გამოიყვანა მცენარის ახალი ჯიში;“.

2. მე-11 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდას სიახლეზე, განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესაბამისად, დაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული გამოცდის შედეგების საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად გასცემს დასკვნას ჯიშის სიახლეზე, განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე. ამ პროცედურების განხორციელებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშებზე, რომლებზედაც ჩატარებულია ექსპერტიზა სიახლეზე, განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცდა ტარდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე.“.

3. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრა

თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესაბამისად, დაკვეთის საფუძველზე. მისი დასკვნის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გაცემს შესაბამის სერტიფიკატს.“.

4. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე და სარგავი მასალის წარმოებისათვის განკუთვნილი ნათესებისა და ნარგაობის ფართობების მიხედვად ინსპექტირებას (აპრობაციას) ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესაბამისად, დაკვეთის საფუძველზე, სიახლეზე, განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე.“.

5. მე-19 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი და სარგავი მასალა უნდა შეესაბამებოდეს საბაზისო თესლს (ელიტურ თესლს), პირველი და მეორე რეპროდუქციის სერტიფიცირებულ თესლს, ხოლო სარგავი მასალა – პირველი ან მეორე ხარისხის მასალას.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული სერტიფიკატით კონდიციურობის შესახებ (შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პარამეტრებთან (გალივება, სიწმინდე, ათასი მარცვლის წონა, ტენიანობა, დაავადებები, სარეველები და ა.შ.) შესაბამისობის თაობაზე);“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების რეესტრით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი.

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29(36), 1999 წელი, მუხ. 157) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის სამართლებრივი უზრუნველყოფა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო).“.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. მცენარეთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვა

მცენარეთა ახალ ჯიშებზე სელექციონერის უფლებების სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

3. მე-6 და მე-7 მუხლები ამოღებულ იქნეს.

4. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მცენარეთა ახალი ჯიშების გასავრცელებლად დაშვების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებას ექვემდებარება მცენარეთა ჯიშების შემდეგი კატეგორიები:

ა) ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის მცენარეთა ჯიშები და ჰიბრიდები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართლებრივად დაცული ჯიშები და ჰიბრიდები.“.

5. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადის წარდგენა

1. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადს სამინისტროში წარადგენს სელექციონერი, მისი უფლებამონაცვლე ან წარმომადგენელი.

2. განაცხადი მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებაზე უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადებას მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებაზე, რომელშიც მითითებული იქნება განმცხადებლის, აგრეთვე სელექციონერის სახელი, გვარი და იურიდიული მისამართი;

ბ) მცენარის ჯიშის აღწერილობას (მცენარის ჯიშის ძირითადი მორფო-ბიოლოგიური, ბოტანიკური ნიშან-თვისებები და სამეურნეო დახასიათება);

გ) მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე საქართველოს შესაბამის ზონაში ჩატარებული გამოცდის შედეგების ამსახველ ოფიციალურ დასკვნას, გავრცელების ხელსაყრელი ზონების მითითებით.

3. მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობა განისაზღვრება გამოცდის შედეგების საფუძველზე, თაობაში შენარჩუნებული სამეურნეო და სასარგებლო ნიშან-თვისებებით, საკონტროლო ჯიშთან შედარებით.“.

6. მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდა

1. ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდა მათ განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე ტარდება ორი ვეგეტაციის განმავლობაში საქართველოს შესაბამის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში და სამისოდ შერჩეულ ზონებში.

2. მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის ჩატარების ვადა განისაზღვრება კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით.

3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდა განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე ტარდება შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ან კერძო სამართლის სუბიექტის მიერ, მისთვის დაკვეთის საფუძველზე, დადგენილი წესით.“.

8. მე-12 მუხლი ამოღებულ იქნეს.

9. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. მეთესლეობის ეროვნული საბჭო

1. მეთესლეობის ეროვნული საბჭო არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანების საფუძველზე და საქმიანობს საზოგადოებრივ საწყისებზე მეთესლეობის დარგის მართვის ოპტიმიზაციისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. მეთესლეობის ეროვნული საბჭო შეიმუშავებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს და წარუდგენს მათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დასაშვები მცენარეთა ჯიშების შესახებ;

ბ) სამოქალაქო ბრუნვაში შესატანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების შესახებ;

გ) მეთესლეობის დარგის განვითარების შესახებ.

3. მეთესლეობის ეროვნული საბჭოს შემადგენლობასა და მუშაობის რეგლამენტს ამტკიცებს მინისტრი.“

10. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება

1. მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შეიტანება მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების რეესტრში“. ხოლო განცხადებაში მითითებულ პირზე გაიცემა მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების დიპლომი.

2. „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების რეესტრი“ შეიცავს თითოეული ჯიშის მორფო-ბიოლოგიურ, ბოტანიკურ ნიშან-თვისებებსა და სამეურნეო დახასიათებას.“

11. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრა

თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს განსაზღვრავს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც გასცემს შესაბამის სერტიფიკატს.“

12. მე-16 და მე-17 მუხლები ამოღებულ იქნეს.

13. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე და სარგავი მასალის წარმოებისათვის განკუთვნილი ნათესებისა და ნარგაობის ფართობების მინდვრად ინსპექტირება (აპრობაცია)

1. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე და სარგავი მასალის წარმოებისათვის განკუთვნილი ნათესებისა და ნარგაობის ფართობების მინდვრად ინსპექტირებას (აპრობაციას) ახორციელებს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, მისთვის დაკვეთის საფუძველზე, დადგენილი წესით.

2. მინდვრად ინსპექტირების (აპრობაციის) შედეგები შეიტანება აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნაში.“.

14. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის პირობები

1. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი და სარგავი მასალა უნდა შეესაბამებოდეს საბაზისო თესლს (ელიტურ თესლს), პირველი თაობის სერტიფიცირებულ თესლს, ხოლო სარგავი მასალა - პირველი ან მეორე ხარისხის მასალას.

2. სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება:

ა) მცენარის ჯიშის გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის ნებართვით (თუ მწარმოებელს არ გააჩნია მცენარის ჯიშის გამოყენების განსაკუთრებული უფლება);

ბ) აკრედიტებული ლაბორატორიის ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნით კონდიციურობის შესახებ (შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პარამეტრებთან - გაღივება, სიწმინდე, ათასი მარცვლის წონა, ტენიანობა, დაავადებები, სარეველები და ა.შ. - შესაბამისობის თაობაზე);

გ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით (იმპორტ-ექსპორტის შემთხვევაში).“.

15. მე-20 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტზე აღნიშნული მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს მის სარეგისტრაციო დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

16. 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ხარისხის სერტიფიკატით (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში).“.

17. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

18. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსები

საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და დაცვის უზრუნველყოფა ევალება შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს.“.

19. 27-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ ამ კანონის

ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში წარმოადგინონ შემდეგი საქართველოს კანონის პროექტები:

- ა) „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“;
- ბ) „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“;
- ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-3მე-5 პუნქტები:

„3. საქართველოს მთავრობამ არა უგვიანეს 2006 წლის 1 მარტისა უზრუნველყოს შემდეგი დაწესებულებების ლიკვიდაცია:

- ა) სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექცია;
- ბ) თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია;
- გ) საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი (საქჯიშცენტრი).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულებამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის გასავრცელებლად დაშვების სამართლებრივი საკითხები და მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გაუქმებული დაწესებულებების შემდგომი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ფუნქციების თაობაზე.

5. 2006 წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ წარმოადგინოს ამ კანონით გათვალისწინებულ ნორმათა დარღვევისათვის საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 28 დეკემბერი.